საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990192930499621

№02/5 **09 / თებერვალი / 2021 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის 2015 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული N02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს N1 დანართის თანახმად.

2. დაევალოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე

დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		დარბაზული ეკლესია „კვირაცხოველი“	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი დვალთა (პატარა თონეთი)	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები
2.		საცხოვრებელი სახლი	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი უნდილაანთკარი	არქიტექტურის	XIX საუკუნის დასაწყისი - XIX საუკუნის ბოლო
3.		გუმბათის დარანი	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუმბათი	არქიტექტურის / არქეოლოგიური	შუა საუკუნეები
4.		ხულოს სახელმწიფო დრამატული თეატრი	ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, შ. რუსთაველის ქ.N11 (ს/კ 23.11.31.018)	არქიტექტურის	1930-იანი წლები
5.		მიქელ - გაბრიელის სახელობის ეკლესია	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი იდლეთი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები

6.		ოფეთის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ეკლესია	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოფეთი	არქიტექტურის	XI საუკუნე
7.		ჩრდილის ყრანჩის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩრდილი	არქიტექტურის	XIX საუკუნე
8.		ზარანის ღვთისმშობლის შობის ეკლესია	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზარანი	არქიტექტურის	XIX საუკუნე
9.		მანგლისის ნაეკლესიარი - „მიჩეტჯა“	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, დაბა მანგლისი	არქიტექტურის / არქეოლოგიური / მემორიალური	შუა საუკუნეები